



## შპს „თეგეტა მოტორსი“

### 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია

#### სკრინინგის ანგარიში

#### ეკოლოგია

შემსრულებელი: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების  
საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

ქ. თბილისი, 2022 წელი

## სარჩევი

1.	შესავალი .....	2
2.	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა .....	4
3.	ობიექტზე მიმდინარე საქმიანობა.....	7
4.	ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....	7
4.1	ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნოლოგიური პროცესის ზოგადი აღწერა.....	10
4.2	ობიექტზე შეგროვების მიზნით წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების სახეობები .....	11
5.	ტერიტორიასთან მისასვლელი გზები .....	11
6.	ობიექტის წარმადობა, სამუშაო რეჟიმი და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა .....	12
7.	ობიექტის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა .....	13
7.1	წყალმომარაგება.....	13
7.2	ჩამდინარე წყლების მართვა.....	13
8.	ზემოქმედების შეფასება.....	13
8.1	ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა .....	13
8.2	ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება .....	14
8.3	ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება .....	16
8.4	ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე .....	17
8.5	ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე .....	17
8.6	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე.....	17
8.7	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .....	17
8.8	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	18
8.9	კუმულაციური ზემოქმედება.....	18
9.	დანართი 1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.....	19
10.	დანართი 3 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან .....	22

## 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „თეგეტა მოტორსის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

კომპანია თეგეტა მოტორსი 1995 წელს დაფუძნდა. თავდაპირველად ის ბაზარზე შპს „ავტოექსპორტის“, სახელით იყო წარმოდგენილი, 2001 წლიდან ბაზარზე უკვე „თეგეტა მოტორსის“ სახელით ოპერირებს და დღეს უკვე ჰოლდინგის მასშტაბითაა წარმოდგენილი, რომელიც 26 შვილობილ კომპანიას აერთიანებს და ბაზრის ლიდერია ავტოიდნუსტრიაში არამარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში.

ჰოლდინგი ამიერკავკასიის მასშტაბით 26 ფილიალით არის წარმოდგენილი, მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია საქართველოს ყველა რეგიონში და აზერბაიჯანში.

თეგეტა მოტორსი 400 000-მდე საცალო, 4000-მდე საბითუმო და 35-000 მდე კორპორაციულ მომხმარებელს ავტოპროდუქტებისა და ავტოტექნომოსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიშით დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, თეგეტა მოტორსის ერთ-ერთ ობიექტზე, რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში, ლარნაკას ქ. N2-ში, ს/კ: 04.01.03.831, მიწისქვეშა ჰორიზონტალური რეზერვუარის მოწყობას, სადაც შეგროვდება ფილიალის მიერ მომსახურებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოქმნილი ნარჩენი ზეთები და შეგროვების შესაბამისად (დამუშავების გარეშე), გადამუშავების მიზნით, გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ობიექტზე. რეზერვუარის მოცულობა იქნება 19 მ<sup>3</sup>.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენი ზეთი ასევე განიხილება სპეციფიკურ ნარჩენად, რომელიც აღნიშნულ კოდექსში განმარტებულია შემდეგნაირად: „სპეციფიკური ნარჩენი – ისეთი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც თავისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო - და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა)“.

სპეციფიკური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, დგინდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ვრცელდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც აწარმოებენ, გადაამუშავებენ, დაამუშავებენ, ყიდიან ან ახორციელებენ ისეთი პროდუქტის იმპორტს, რომელიც თავისი სასიცოცხლო ციკლის ამოწურვის შემდეგ სპეციფიკური ნარჩენი ხდება.

კანონის მიხედვით, ისეთი პროდუქტის მწარმოებელი და ამ პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელი, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება, ვალდებული არიან, უზრუნველყონ პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება. სპეციფიკური ნარჩენების მართვისთვის

შექმნილია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაცია (მგვ-ორგანიზაცია). გარდა ამისა, შემუშავდა და 2020 წლის 25 მაისს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ“ N327 ტექნიკური რეგლამენტი.

ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ნარჩენი ზეთების მართვასთან დაკავშირებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებისა და აღნიშნული ნარჩენების მართვის წესებს. მართვის წესებთან ერთად, დადგენილებას შემოაქვს „ოპერატორის“ ახალი განმარტება. დადგენილებაში მოცემული განმარტების მიხედვით, ოპერატორი შესაძლებელია იყოს პირი, რომელიც ჩართულია ზეთების და ნარჩენი ზეთების სასიცოცხლო ციკლში, მაგალითად: მწარმოებელი; დისტრიბუტორი; შეგროვების პუნქტები და ცენტრები; შემგროვებელი ორგანიზაციები; რეგენერაციის ან სხვა სახის დამუშავების განმახორციელებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „თეგეტა მოტორსი“, როგორც ნარჩენი ზეთების შემგროვებელი ორგანიზაცია, „ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის ფარგლებში, უფლებამოსილია იყოს ოპერატორი.

ამავე ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, ნარჩენი ზეთების მართვაში ჩართული ოპერატორები ვალდებული არიან გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ნარჩენი ზეთების მართვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე, აღრიცხონ შეგროვებული ნარჩენი ზეთების რაოდენობები.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის, 10.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის და საკონსულტაციო კომპანიის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის მომზადებაში მოცემულია ცხრილში N1.

**ცხრილი N1 – ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ**

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „თეგეტა მოტორსი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N129
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	202177205
კომპანიის დირექტორი	
საქმიანობის სახე	10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთი) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა N2

საკონსულტაციო კომპანიის დასახელება	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
ხელმძღვანელი და საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 593 044 044; 577 380 113; ვებგვერდი: <a href="https://ecometer.org.ge/">https://ecometer.org.ge/</a> ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@ecometer.org.ge">info@ecometer.org.ge</a> ; <a href="mailto:esec.ecometer@gmail.com">esec.ecometer@gmail.com</a>
მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა #16


## 2. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

შპს „თეგეტა მოტორსს“ ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩა N2-ში გააჩნია ფილიალი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სპეცტექნიკის, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების პროდუქციასა და სერვისს. აღნიშნული ფილიალი მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 04.01.03.831). ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 10 443 კვ.მ-ს. ფილიალის ტერიტორია მოასფალტებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისგან. ტერიტორიაზე განთავსებულია ორი შენობა ნაგებობა.

კომპანია გეგმავს ფოთში არსებული ფილიალის ტერიტორიაზე (ეზოში) მოაწყოს, ნარჩენი ზეთების დროებითი განთავსების მიზნით, მიწისქვეშა ჰორიზონტალური რეზერვუარი, სადაც მოხდება ფილიალის მიერ მომსახურებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების შეგროვება. პროექტის მიხედვით, ზეთის შემკრები რეზერვუარი განთავსდება შემდეგ GPS კოორდინატებზე:

X	Y
721094.00	4672147.00

შპს „თეგეტა მოტორსის“ ფოთის ფილიალი განთავსებულია სამრეწველო ზონაში და მის გარშემო მდებარეობს სხვადასხვა სასაწყობე და საწარმოო ობიექტები. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 470 მეტრით (ს/კ: 04.01.17.019), უშუალოდ რეზერვუარის განთავსების წერტილიდან (GPS კოორდინატები X-721094.00; Y-4672147.00) უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 500 მეტრით. კომპანიის მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, სამხრეთით, მდებარეობს შპს „ექსპრეს ტრანს შიპმენტ სერვისი“-ს ობიექტი (ს/კ: 04.01.03.715, ნაკვეთი კომპანიას იჯარით აქვს აღებული), ტერიტორიას დასავლეთით ესაზღვრება შპს „თეგეტა მოტორსის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 04.01.03.978), ხოლო ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ასფალტირებული გზა. ტერიტორიიდან დაახლოებით 760 მეტრში მდებარეობს მარტოწყალას ტბა, ხოლო შავი ზღვა - დაშორებულია დაახლოებით 2.5 კილომეტრით.



სურ. N2.1.1 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა



სურ. N2.1.2 - ტერიტორიის რუკა რეზერვუარის განთავსების წერტილის მითითებით

### 3. ობიექტზე მიმდინარე საქმიანობა

შპს „თეგეტა მოტორსის“ ფოთის ფილიალი მომხმარებელს სთავაზობს სპეცტექნიკის, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების პროდუქციასა და მის სერვისს.

ფოთის ფილიალის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი შენობა ნაგებობა. საიდანაც ერთი შენობა განკუთვნილია სატვირთო და სპეცტექნიკის პროდუქციისა და სერვისისთვის, ხოლო მეორე მსუბუქი ავტომობილების პროდუქციისა და სერვისისთვის.

კერძოდ, მსუბუქი ავტომობილის სერვისი მოიცავს: ვულკანიზაციას; სავალი ნაწილის შეკეთებას; ელ. სისტემის დიაგნოსტიკასა და შეკეთებას; ძრავის დიაგნოსტიკასა და შეკეთებას; თვლების შეყრის გასწორებას; ძრავში ზეთის შეცვლას; ავტომატურ კოლოფში ზეთის შეცვლას; წინა მამუქების გასწორებას სტენდზე; გადაცემათა კოლოფის შეკეთებას;

სპეცტექნიკის სერვისი მოიცავს: ზეთისა და ფილტრის შეცვლას; სავალი ნაწილის თვლების შეყრის კორექტირებას; საბურავების სერვისს; აკუმულატორის შეცვლას; ელექტრო დიაგნოსტიკის კონდიციონების სისტემაში ფრეონის დატუმბვას; მაღალი წნევის მილების დაპრესვას.

სატვირთო ავტომობილების სერვისი მოიცავს: ზეთისა და ფილტრების შეცვლას; საბურავების სერვისს; გადაცემათა კოლოფის სრულ შეკეთებას; სავალი ნაწილის შემოწმებას/შეკეთებას; ჰიდრაულიკური სისტემების სრულ აღდგენას; ელექტრო დიაგნოსტიკას; კონდიციონების სისტემაში ფრეონის დატუმბვას; მაღალი წნევის მილების დაპრესვას; აკუმულატორის შეცვლას; ძრავისა და საწვავის სისტემის სერვისს.

### 4. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, შერჩეულ ტერიტორიაზე 19 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა ჰორიზონტალური რეზერვუარისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსებას, რომელშიც შეგროვდება შპს „თეგეტა მოტორსის“ სერვის ცენტრის მიერ მომსახურებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ამოღებული ნარჩენი ზეთები და შეგროვების შესაბამისად, ყოველგვარი დამუშავების გარეშე (მათ შორის წინასწარი დამუშავება), გადამუშავების მიზნით, გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ობიექტზე.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების II დანართის მიხედვით, ყველა სახის ნარჩენი ზეთი (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა), კლასიფიცირებულია სახიფათო ნარჩენად.

სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები დგინდება „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით.



აღნიშნული დადგენილება, ნარჩენი ზეთის მართვასა და დამუშავებაზე, ზოგადი მოთხოვნების გარდა აწესებს სპეციალური მოთხოვნებს, რომლის მიხედვით:

- წარმოქმნის ადგილზე სავალდებულოა ნარჩენი ზეთების განცალკევება სხვა ნარჩენებისგან;
- ნარჩენი ზეთები უნდა ინახებოდეს დახურულ კონტეინერებში ან ავზებში, რომლებიც დაცულია გაჟონვისგან და აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით;
- ნარჩენი ზეთების აღდგენა ხდება რეგენერაციის გზით ან თუ ეს არ არის შესაძლებელი, ენერჯის აღდგენის გზით;
- დაუშვებელია პებ/პეტ-ის შემცველი ნარჩენი ზეთების შერევა სხვა ნარჩენ ზეთებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ საქმიანობის განხორციელების ეტაპზე გათვალისწინებული და დაცული იქნება შემოაღნიშნული საკითხები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ნარჩენების აღდგენას ან მის რაიმე სახით დამუშავებას (მათ შორის არ არის გათვალისწინებული ნარჩენის წინასწარი დამუშავება) და ობიექტზე შეროვების მიზნით, დროებით განთავსებული ნარჩენი, ყოველგვარი დამუშავების გარეშე გატანილი იქნება ტერიტორიიდან.

რაც შეეხება პებ/პეტ-ის შემცველი ნარჩენ ზეთებს, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილების შესაბამისად განიხილება მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდის) შემცველ ნარჩენად და მათ შეროვებასა და შემდგომ მართვაზე დაწესებულია სპეციალური მოთხოვნები. თუმცა ობიექტზე არ არის გათვალისწინებულია პებ/პეტ-ის შემცველი ნარჩენი ზეთების მიღება.

ამასთან, „სახიფათო ნარჩენების შეროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილების მე-10 მუხლის მიხედვით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვისთვის დადგენილია სპეციალური მოთხოვნები, აღნიშნული მოთხოვნებიდან, განსახილველ ობიექტზე გავრცელდება შემდეგი მოთხოვნები:

- გათვალისწინებული უნდა იყოს ტერიტორიის დაცულობა წყალდიდობის, მეწყრისა და სხვა ბუნებრივი მოვლენებისგან;
- სახიფათო ნარჩენებით ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, შენახვის ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს წვიმის წყლის შეროვების სისტემით;
- სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, შენახვის ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს მაფრთხილებელი ნიშნებით (რომლებიც მიუთითებენ შენახულ სახიფათო ნარჩენებზე (კატეგორია, სახეობა)) და ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა მოწყობილობებით;

- შენახვის ადგილის ქვედა ფენა (ძირი) დამზადებული უნდა იყოს ისეთი მასალისგან, რომელიც არ შედის რეაქციაში ან არ იწოვს შენახულ ნარჩენებს, წყალგაუმტარია და ითვალისწინებს ნარჩენების დაღვრის/გაფანტვის რისკს;
- იმ შემთხვევაში, თუ სახიფათო ნარჩენების შესანახად გამოიყენება ავზი, აუცილებელია ამ უკანასკნელის მოთავსება სითხეგაუმტარ შემოფარგლულ ტერიტორიაზე, რომელიც შეაკავებს თხევად სახიფათო ნარჩენებს დაღვრის ან ავარიის შემთხვევაში. ავზები უნდა იყოს აღჭურვილი გადავსების საწინააღმდეგო და გამართული განგაშის სისტემით.

ზემოაღნიშნული რეგლამენტის შესაბამისად, რეზერვუარის და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორია დაცული იქნება წყალდიდობის, მეწყრისა და სხვა ბუნებრივი მოვლენებისგან. ამ ეტაპზე თეგეტა მოტორსის ფოთის ფილიალის მთლიანი ტერიტორია მობეტონებულია. ამასთან, რეზერვუარის განთავსება დაგეგმილია ეზოში, მიწის ქვეშ ბეტონის კაფსულაში. ტუმბოების მოწყობა დაგეგმილია სერვისცენტრის ტერიტორიაზე, საიდანაც პირდაპირ მილსადენის საშუალებით მოხდება წარმოქმნილი ზეთის გადატუმბვა რეზერვუარში. შესაბამისად, რეზერვუარში ზეთის ჩატვირთვის დროს, ზეთის მოხვედრას გარე პერიმეტრზე და დაბინძურებას ადგილი არ ექნება. ამასთან აღსანიშნავია, რომ სერვის ცენტრის ტერიტორია გადახურულია და ძირი მობეტონებულია.

რაც შეეხება რეზერვუარიდან ზეთის ამოღებას, განხორციელდება ასევე სპეციალური ტუმბოს მეშვეობით, რომელიც ასევე მილსადენით მიერთებული იქნება სატრანპორტო ავტო ცისტერნასთან, რომლითაც მოხდება ტერიტორიიდან მისი გატანა. რეზერვუარიდან ზეთის ამოღების დროს, ავარიული დაღვრის შემთხვევაში, ვინაიდან სამუშაო პერიმეტრი არის მობეტონებული, მოხდება აღნიშნული უბნის დასუფთავება სპეციალური საწმენდი მანქანებით, საიდანაც ამოღებული ნარჩენი ზეთი დაკვალიფიცირდება, როგორც სახიფათო ნარჩენი და მისი მართვა მოხდება კანონმდებლობის სრული დაცვით.

ობიექტზე განთავსებული რეზერვუარი აღჭურვილი იქნება გადავსების საწინააღმდეგო სისტემით.

როგორც რეზერვუართან, ისე მის დამხმარე ინფრასტრუქტურასთან გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდისა და შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.

უნდა აღინიშნოს, რომ რეზერვუარის და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული გრძელვადიან და ფართომასშტაბიან სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან. ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟისთვის გათვალისწინებულია მაქსიმუმ 2 კვირა. ამასთან როგორც აღინიშნა, რეზერვუარის განთავსება დაგეგმილია მიწის ქვეშ, ბეტონის კაფსულაში, შესაბამისად ამოღებული გრუნტის ადგილას, თავდაპირველად, ჩაისხმება ბეტონი, ხოლო შემდგომ მოხდება რეზერვუარის ბეტონის საფარველში განთავსება. ბეტონის შემტანა განხორციელდება ბეტონმზიდით ერთჯერადად და მისი ჩასხმის სამუშაოები იქნება მცირემასშტაბიანი და გაგრძელდება მხოლოდ ორი საათი.

#### 4.1 ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნოლოგიური პროცესის ზოგადი აღწერა

როგორც უკვე აღინიშნა, 19 მ<sup>3</sup> ტევადობის მიწიქვეშა რეზერვუარის განთავსება დაგეგმილია ობიექტის ეზოში მობეტონებულ ტერიტორიაზე, ბეტონის 20 სმ-იანი ფენის ქვეშ, რეზერვუარი განთავსდება ბეტონის კაფსულაში. რეზერვუარი დამზადებული იქნება 6 მმ სისქის შავი მეტალისგან, რომლის დიამეტრი იქნება - 2.5 მეტრი, სიგრძე - 4 მეტრი. რეზერვუარის მეტალის კორპუსი გარედან დაფარული იქნება 1 სმ სისქის ბიტუმით. რეზერვუარი ზემოდან დაიფარება 0,5 მეტრი სისქის ქვიშის ფენით, და შემდეგ 20 სმ სისქის ბეტონის საფარით (ეზოს ბეტონის ფილით).

სერვისში ა/მანქანებიდან და სპეც. სამშენებლო ტექნიკიდან (ძრავიდან, გადაცემათა კოლოფიდან, ჰიდრავლიკური სისტემებიდან) მეორადი ზეთების ჩამოსხმა (ჩამოშვება) მოხდება სპეციალურ როლიკებზე მგორავ მეტალის ჭურჭელში, ტევადობით 70 ლიტ. (ე.წ. „ვანა“). აღნიშნული „ვანა“ განთავსებული იქნება სერვისის ყველა სარემონტო ორმოში. „ვანაში“ მოგროვებული ზეთის გადატუმბვა რეზერვუარში მოხდება სარემონტო ორმოებში დამონტაჟებული FLEXBIMEC-ის მარკის ზეთის ტუმბოებით, რომლებიც რეზერვუართან მიერთებული იქნება „ფირატის“ ბრენდის წნევა და ტემპერატურა გამძლე (32 მილიმეტრი დიამეტრის მქონე) პლასტმასის მილებით (დახურული/ჭერმეტული სისტემა).

როგორც უკვე აღინიშნა, სერვისიდან ნარჩენი ზეთის რეზერვუარში გადატუმბვის მიზნით განთავსდება FLEXBIMEC-ის ფირმის 6 ტუმბო, საიდანაც 5 ტუმბო დამონტაჟდება სატვირთო და სპეცტექნიკის სერვისის სარემონტო ორმოების ბოქსებში, ხოლო 1 ტუმბო დამონტაჟდება მსუბუქი ავტომობილების სერვისში. აღნიშნული ტუმბოების პარამეტრები იქნება: ტევადობა - 14 ლ/წთ-ში, წნევა - 3 - 7 ბარი.

გარდა ამისა, სერვისში იქნება ძრავიდან ზეთის ამოსაქაჩი FLEXBIMEC-ის მარკის 2 მოძრავი ტუმბო, საიდანაც 1 ტუმბო განთავსდება სატვირთო და სპეცტექნიკის სერვისში და მეორე ტუმბო მსუბუქი ავტომობილების სერვისში. ძრავიდან ზეთის ამოსაქაჩი ტუმბოს პარამეტრებია: ტევადობა 80 ლ/წმ, წნევა - 0.3 - 0.5 ბარი.

რეზერვუარში დაგროვილი ნარჩენი ზეთების გატანა მოხდება, როგორც წესი - წელიწადში ორჯერ სპეციალიზებული ლიცენზირებული ავტოცისტერნით. რეზერვუარიდან ზეთის ამოსაქაჩად დაგეგმილია იტალიური წარმოების LIVERANI-ის ბრენდის მოძრავი ტუმბოს განთავსება, რომლის პარამეტრებიც იქნება შემდეგი: წარმადობა 40 ლ/წთ-ში, არმირებულ რეზინის მილებში წნევა - 0.3 - 0.5 ბარი. რეზერვუარიდან ნარჩენი ზეთი, გადამუშავების მიზნით, გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ობიექტზე, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ობიექტზე სამუშაო დღის განმავლობაში მოსალოდნელია ჯამში დაახლოებით 100 ლიტრი ზეთის გამოცვლა, შესაბამისად წლის განმავლობაში მოსალოდნელია 28 800 ლიტრი, დაახლოებით 29 მ<sup>3</sup> ზეთის წარმოქმნა. როგორც უკვე აღინიშნა ტერიტორიაზე მოწყობილი რეზერვუარის დაცლა მოხდება წელიწადში

ორჯერ და ნამუშევარი ზეთი, გადამუშავების მიზნით, გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ობიექტზე.

**4.2 ობიექტზე შეროვების მიზნით წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების სახეობები**

როგორც პროექტის აღწერით ნაწილშია მოცემული, დაგეგმილ, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტზე, წლის განმავლობაში მოსალოდნელია დაახლოებით 29 მ<sup>3</sup> ნარჩენი ზეთის შეროვება და მისი შესაბამისი ნებართვის მქონე ობიექტზე გატანა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ობიექტზე დაგეგმილი შემკრები რეზერვუარების ჯამური მოცულობა არ აღემატება 19 მ<sup>3</sup>, რეზერვუარის დაცლა მოხდება წელიწადში ორჯერ, შესაბამისად ობიექტის ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება ერთდროულად განთავსდეს მხოლოდ 19 მ<sup>3</sup> ნარჩენი ზეთი.

ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენი ზეთები, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტო N426 დადგენილების შესაბამისად გაერთიანებულია მე-13 ჯგუფში (ზეთის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლებიც განხილულია 05, 12 და 19 თავებში).

ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მიხედვით, მოცემულია 4.2.1 ცხრილში.

**ცხრილი 4.2.1**

„სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მიხედვით		
ნარჩენის კოდი	ნარჩენის სახელწოდება	რაოდენობა
13 01 11*	სინთეტური ჰიდრაულიკური ზეთები	30 ლ/დღ (8640 ლ/წელ)
13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	30 ლ/დღ (8640 ლ/წელ)
13 05 06*	ზეთი/წყლის სეპარატორიდან (გამყოფი მოწყობილობიდან)	40 ლ/დღ (11 520 ლ/წელ)

**5. ტერიტორიასთან მისასვლელი გზები**

შპს „თეგეტა მოტორსის“ ობიექტი მოწყობილია ქ. ფოთში, ასფალტირებული საავტომობილო გზის მიმდებარედ. შესაბამისად, ტერიტორიამდე მიდის ასფალტირებული გზა და პროექტი ახალი მისასვლელი გზის მოწყობას ან და არსებულის შეკეთება/გარემონტებას არ ითვალისწინებს (ტერიტორიამდე მისასვლელი გზა იხ. სურ. N5-ზე).



სურ. 5 - ტერიტორიამდე მისასვლელი გზა

#### 6. ობიექტის წარმადობა, სამუშაო რეჟიმი და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა

ობიექტი მუშაობს კვირაში 6 დღე (წელიწადში 288 დღე), 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით (კვირაში 48 სამუშაო საათი), სამუშაო საათები - 09:30 – 18:30. ობიექტზე პროექტით დაგეგმილი საქმიანობის ოპერირების მიზნით დასაქმდება 2 ადამიანი.

ობიექტზე, სამუშაო დღის განმავლობაში, მოხდება დაახლოებით ჯამში 100 ლიტრი ზეთი გამოცვლა, შესაბამისად წლის განმავლობაში მოსალოდნელია ( $100 \times 288 = 28\,800$  ლ/წელ) 28 800 ლიტრი, დაახლოებით 29 მ<sup>3</sup> ზეთის წარმოქმნა. როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორიაზე მოწყობილი რეზერვუარის დაცლა მოხდება წელიწადში ორჯერ და ნამუშევარი ზეთი, გადამუშავების მიზნით, გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ობიექტზე.

## **7. ობიექტის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა**

### **7.1 წყალმომარაგება**

ობიექტზე წყალი გამოიყენება საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისთვის. წყალმომარაგება ხორციელდება ქ. ფოთის კომუნალური ქსელიდან. კომუნალურ სამსახურში კომპანია დარეგისტრირებულია, როგორც აბონენტი.

### **7.2 ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების მართვა**

ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხორციელდება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში.

ხოლო ზეთის ავარიული დაღვრის შემთხვევაში, ვინაიდან სამუშაო პერიმეტრი არის მთლიანად მობეტონებული, მოხდება დაბინძურებული უბნის დასუფთავება სპეციალური საწმენდი მანქანებით, საიდანაც ნარჩენი ზეთის მართვა მოხდება კანონმდებლობის სრული დაცვით. შესაბამისად ობიექტზე სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სანიაღვრე წყლების ჩაშვება ტერიტორიაზე მოწყობილი სანიაღვრე არხების საშუალებით ხდება ქალაქის სანიაღვრე ქსელში.

## **8. ზემოქმედების შეფასება**

### **8.1 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა**

კომპანია, ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვას ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით, დანერგილია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა, რომლისთვისაც მოწყობილია ცალკე უბანი, განკუთვნილი არასახიფათო ნარჩენების ურნებისთვის და ცალკე უბანი, სახიფათო ნარჩენებისთვის, რომელიც გადახურულია. როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები მარკირებულია. სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილია ჰერმეტიკულად დახურული კონტეინერები. ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები თავსდება შესაბამის მარკირებულ კონტეინერებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამის ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

რაც შეეხება დაგეგმილ საქმიანობას მისი მიზანია ობიექტის მიერ მომსახურებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების შეგროვება, რომელიც შემდგომ გადაეცემა ნებართვის მქონე კომპანიას მისი აღდგენის/გადამუშავების მიზნით, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა ემსახურება ნარჩენების შემცირებას.

რეზერვუარის და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების შედეგად რაიმე ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში მისი მართვა მოხდება კანონმდებლობის სრული დაცვით.



**სურ. 8.1 - ობიექტზე არსებული ნარჩენების მართვის უბანი**

**8.2 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება**

რეზერვუარისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები იქნება მცირემასშტაბიანი და გაგრძელდება დაახლოებით 2 კვირა. რაც შეეხება ბეტონის სამუშაოებს, გაგრძელდება მხოლოდ ორი საათი. შესაბამისად მოწყობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ხოლო, რაც შეეხება რეზერვუარის ექსპლუატაციის ეტაპს, იქნება გაფრქვევის 1 წყარო, საიდანაც ემისიების სახით წარმოიქმნება ნახშირწყალბადები. შესაბამისად, სკრინინგის ანგარიშის მომზადების ეტაპზე გაკეთდა წინასწარი გათვლები ობიექტის მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის რეზერვუარში ზეთის მიღებისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ემისიების შესახებ.

როგორც უკვე აღინიშნა, ტეგეტა მოტორსი გეგმავს 19 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობას, სადაც შეგროვდება საავტომობილო ნანმარი ზეთები.

რეზერვუარიდან ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევების გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

$$M = Y_1 \times K^{max} \times Q^{max} / 3600 \tag{8.1}$$

$$G = (Y_2 \times B \times Y_3 \times B) \times K^{max} \times 10^{-6} + G \times K \times N \tag{8.2}$$

ფორმულებში (8.1 - 8.2) გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

M – მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევის მაქსიმალური სიმძლავრეა, გ/წმ;

G – მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევის წლიური რაოდენობა მ<sup>3</sup>/წელ.

Y<sub>1</sub> – რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის კონცენტრაცია, გ/მ<sup>3</sup> და აიღება მე-8.1 ცხრილის მე-2 სვეტის მიხედვით;

K<sup>max</sup>- ცდით მიღებული კოეფიციენტია და რეზერვუარებისათვის არ არის დამოკიდებული ნავთობპროდუქტების კატეგორიასა და რეზერვუარების მოცულობაზე და უდრის 1-ს;

Q<sup>max</sup>- რეზერვუარებიდან გამოდენილი აირნარევის მაქსიმალური მოცულობა ერთ საათში, მ<sup>3</sup>/სთ.;

Y<sub>1</sub> და Y<sub>2</sub> – რეზერვუარებიდან საშუალო ხვედრითი გაფრქვევებია. შესაბამისად შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხული-ზაფხულის პერიოდებისათვის და აიღება მე-8.1 ცხრილის მე-3 და მე-4 სვეტების მიხედვით;

G – ერთი რეზერვუარიდან ნავთობპროდუქტების გაფრქვევის მნიშვნელობაა მათი შენახვის დროს, ტ/წელ;

K- საცდელი კოეფიციენტია და მიიღება მე-8.1 ცხრილის მე-5 სვეტის მიხედვით;

N -ერთი დანიშნულების რეზერვუარის რაოდენობაა ცალეებში.

ცხრილ 5.1-ში მოცემულია ხვედრითი გაფრქვევის (Y<sub>1</sub>, Y<sub>2</sub>) და საცდელი კოეფიციენტის (K<sub>i</sub>) მნიშვნელობები რაც საჭიროა ფორმულების (8.1 – 8.2) საშუალებით M და G – ს გასათვლელად სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტებისათვის.

ცხრილი 8.1.

ნავთობპროდუქტების დასახელება	Y <sub>1</sub> , გ/მ <sup>3</sup>	Y <sub>2</sub> , გ/მ <sup>3</sup>	Y <sub>3</sub> , გ/მ <sup>3</sup>	K <sub>i</sub>	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
საავტომობილო ზეთი	0.39	0.25	0.25	0.00027	

წლის დროთა მიხედვით რეზერვუარებში ჩატვირთული ნავთობპროდუქტების რაოდენობები (მ<sup>3</sup>) მოცემულია ცხრილ 8.2-ში.

ცხრილი 8.2.

½	ნავთობპროდუქტების დასახელება	შემოდგომა-ზამთარი	გაზაფხული-ზაფხული	სულ:
1	2	3	4	5
1	საავტომობილო ზეთი	21.6	21.6	43.2



ნავთობპროდუქტების კატეგორია, რომელიც მიიღება რეზერვუარებში, განეკუთვნება “A” კლასს, ე.ი. მასში განთავსებული ნავთობპროდუქტების ტემპერატურა არ განსხვავდება ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურისაგან. რეზერვუარებში ჩასასხმელი ნავთობპროდუქტების რაოდენობა წლის პერიოდის მიხედვით მოცემულია ცხრილ 8.2-ში, ხოლო ცხრილ 8.1-ში მოცემულია გაფრქვევის გამოსათვლელად საჭირო მონაცემები. ტუმბოს წარმადობა უდრის 14ლ/წთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფორმულებში ჩასმის შემდეგ გვექნება:

$$M=0.39 \times 1.00 \times 14 / 3600 = 0.00151 \text{ გ/წმ.}$$

$$G=(0.25 \times 21.6 + 0.25 \times 21.6) \times 1.00 \times 10^{-6} + 0.18 \times 0.00027 \times 1 = 0.000011 + 0.000049 = 0.00006 \text{ ტ/წელ.}$$

აქედან ბუნებრივი დანაკარგი (აორთქლება შენახვისას) ზეთის რეზერვუარიდან ტოლია 0.000049 ტ/წელ. მაშასადამე გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$M=0.000049 \times 10^6 / (3600 \times 8760) = 0.0000016 \text{ გ/წმ.}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$M=0.00151 + 0.0000016 = 0.0015016 \text{ გ/წმ.}$$

გაკეთებული გაანგარიშებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი შემოქმედება ძალიან უნიშვნელოა და დადგენილ ნორმებზე გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

### 8.3 ხმაურით გამოწვეული შემოქმედება

პროექტით დაგეგმილია ობიექტზე ერთი ერთეული 19 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარის და დამხმარე ინფრასტრუქტურის დამონტაჟება. რეზერვუარისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები იქნება მცირემასშტაბიანი და გაგრძელდება დაახლოებით 2 კვირა. ამასთან მოწყობის სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული შემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. რაც შეეხება რეზერვუარის ექსპლუატაციას, მისი ექსპლუატაციის დროს ხმაურის გავრცელებას ადგილი არ ექნება.

ხმაურის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ობიექტზე განთავსებული 9 ერთეული ტუმბო, რომელთა ხმაურის დონე არ აღემატება 45 დბ-ს. ამასთან ერთდროულად რეზერვუარში ზეთის მიღება და გაცემა არ მოხდება და შესაბამისად, ერთდროულად იმუშავებს მხოლოდ 1 ტუმბო. ასევე აღსანიშნავია, რომ ტუმბოები განთავსებული იქნება სერვის ცენტრში (დახურულ შენობაში), ამასთან ობიექტიდან უახლოესი სახლი დაშორებულია დაახლოებით 500 მეტრით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის განხორციელებით ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი შემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **8.4 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე**

ობიექტი ფუნქციონირებს უკვე მრავალი წელია. ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია მრავალი წელია გამოიყენება სამრეწველო მიზნებისთვის შესაბამისად, ცხოველთა ბუდობისთვის ხელსაყრელი პირობები ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე რაიმე სახის ზემოქმედება პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი არ არის.

#### **8.5 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე**

რეზერვუარის განთავსება დაგეგმილია სამრეწველო ზონაში, მობეტონებულ ზედაპირზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის წყლების ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობის ეტაპზე მოხდება 21 მ3 რაოდენობის გრუნტის ამოღება, რომლის მართვაც მოხდება კანონმდებლობის სრული დაცვით, კერძოდ ამოღებული გრუნტი შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ფოთის მუნიციპალიტეტს, რომელთანაც კომპანია გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას.

ამოღებული გრუნტის ადგილას, თავდაპირველად, ჩაისხმება ბეტონი, ხოლო შემდგომ მოხდება რეზერვუარის განთავსება. ბეტონის სამუშაოები იქნება მცირემასშტაბიანი და გაგრძელდება მხოლოდ ორი საათი.

რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტს - მარტოწყალას ტბას, ის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 760 მ-ით, შესაბამისად მასზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **8.6 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე**

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული ტერიტორიები და სსიპ „სატყეო სააგენტოს“ მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი, შესაბამისად პროექტით გამოწვეული ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე მოსალოდნელი არ არის.

#### **8.7 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**

არც ფილიალის და არც მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება. შესაბამისად, მასზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### **8.8 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე**

როგორც უკვე აღინიშნა, პროექტით დაგეგმილია ფოთის ფილიალის მიერ მომსახურებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოქმნილი ნამუშევარი ზეთების შეგროვება და მათი რეზერვუარში განთავსება, საიდანაც მათი გატანა მოხდება წელიწადში ორჯერ სპეციალიზებული ლიცენზირებული ავტოცისტერნით, შესაბამისად საქმიანობის განხორციელებით სატრანსპორტო ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდა და მასზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### **8.9 კუმულაციური ზემოქმედება**

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმოა.

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელება, კერძოდ ობიექტისა და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე.

ობიექტი განთავსებულია სამრეწველო ზონაში და მის გარშემო მდებარეობს სხვადასხვა სასაწყობე და საწარმოო ობიექტები. თუმცა 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში, მსგავსი ტიპის საქმიანობა წარმოდგენილი არ არის და ამ მხრივ კუმულაციური ზემოქმედება მოალოდნელი არ არის.

**9. დანართი 1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან**



მაქის (უძრავი ქონების) საკატასტრო კოდი **N 04.01.03.831**

**ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**

განცხადების რეგისტრაცია  
 N 882022630291 - 01/09/2022 10:49:11

მომზადების თარიღი  
 07/09/2022 17:47:29

**საკუთრების განყოფილება**

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი	საკუთრება
ფოთი	ნაბაღა-კუჩუღი			ნაკვეთის დანიშნულება:	არასასოფლო სამეურნეო
<b>04</b>	<b>01</b>	<b>03</b>	<b>831</b>	დამუსტებული ფართობი:	10443.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი ფოთი , ქუჩა ლარნაკა , N 2				ნაკვეთის წინა ნომერი:	<b>04.01.03.579; 04.01.03.689;</b>
				შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი:	N01/1
				შენიშვნა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართობი:	2434.00

**მესაკუთრის განყოფილება**

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011299063 , თარიღი 23/06/2011 13:12:13  
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/06/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მშენებლობის ნებართვა N003 , დამოწმების თარიღი:23/08/2007 , თვითმმართველი ქ.ფოთის მერიის არქიტექტურის, გრანსპორტის, აღმნიშვნაობრივი მუდამხელეულობისა და ქონების მართვის სამსახური
- საკუთრების უფლების მოწმობა N2 , დამოწმების თარიღი:17/05/2011 , თვითმმართველი ქალაქი ფოთის საკრებულო
- ბრძანება N147 , დამოწმების თარიღი:22/06/2011 , თვითმმართველი ქალაქი ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე
- ნასყიდობის ხელშეკრულება N1-2487 , დამოწმების თარიღი:01/05/2006 ,ნოტარიუსი მ. ბარამია

მესაკუთრები:

შპს "თეგეტა მოტორსი" , ID ნომერი:202177205

მესაკუთრე:

შპს "თეგეტა მოტორსი"

აღწერა:

**იპოთეკა**

შეთანხმება (შპს "თეგეტა მოტორსსა" და შპს "თეგეტა რაიოელის" შორის 2021 წლის 01 აპრილს გაფორმებულ უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ), დამოწმების თარიღი 2/08/2022, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

---

### ვაღლებულება

ყადაღის კრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეგისტრია:

რეგისტრირებული არ არის

---

\*უმაღლესი პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში აღებული საგერაილური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განსვლიანში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ხარვეზად მიღების სამუხრამლდი გადასახადი გადახდის ვალდებულება საინტერნო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შემთხვევით აღნიშნული უმაღლესი პირი ამავე ვადაში წარუდგინს დაკლარაციის საგადასახადო ანგარიშს აღნიშნულ ვალდებულების შეტრულებლის წარმოადგენს საგადასახადო სამართლიდარღვევის, რაც იწვევს პიქსისმეცხელისის საქროველის საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით.\*

- დოკუმენტის სინდილიონის გადასწმევა შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერაგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, აესკციის სინდილიონს და სააგენტოს აგაგორიულ პირებში;
- ამონაწერში გეწიაკური ხარვეზის აღმნიშვნის მუხობევაში დავიკემონდიო: 2 405405 ან პირადად შეატყო განიხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია აესკციის სინდილიონს ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის ოთინსწროული მზადის უკონოი ქველების მუხობევაში დავიკემონდიო ცხელ ხაზზე 2 405405
- ინფორმის საინტერესო ნებისმიერ საკაბინთან დაკემონდიო მოვეწერო ვებ-გვერდით: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)



**10. დანართი 3 - ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან**



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
 სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო  
 (არაკომერციული) იურიდიული პირების  
 რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22089717, 20/07/2022 13:30:55

**სუბიექტი**

<b>საფირმო სახელწოდება:</b>	შპს თეგეტა მოტორსი
<b>სამართლებრივი ფორმა:</b>	შემლედული პასუხისმგებლობის საზოგადოება
<b>საიდენტიფიკაციო ნომერი:</b>	202177205
<b>რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:</b>	2/4-2784; 26/04/2001
<b>მარეგისტრირებული ორგანო:</b>	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
<b>იურიდიული მისამართი:</b>	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 129

**რეორგანიზაციის ისტორია**

<b>რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი</b>	<b>ოპერაცია</b>	<b>რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი</b>	<b>თარიღი</b>
შპს თეგეტა მოტორსი გორი (218050622)	შერწყმა	შპს თეგეტა მოტორსი (202177205)	10/03/2009
შპს თეგეტა მოტორსი ბათუმი (245570715)	შერწყმა	შპს თეგეტა მოტორსი (202177205)	10/03/2009
შპს თეგეტა მოტორსი ფოთი (215142548)	შერწყმა	შპს თეგეტა მოტორსი (202177205)	10/03/2009

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**მმართველობის ორგანო**

- პარტნიორთა კრება
- სამეთვალყურეო საბჭო

## მთავალეთა რეესტრი

### რეესტრირებული არ არის

2022 წლის პირველ იანვრამდე რეესტრირებული სუბიექტი აღდგებულა 2022 წლის 1 იანვრიდან 2 წლის განმავლობაში უზრუნველვოს სარეესტრაციო მოწყობის 04.08.2021 წ. „შწარმეთა მსახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა. კანონით გათვალისწინებულ ვადამი ამ აღდგებულების შესრულებლობის შემთხვევაში სუბიექტის რეესტრაცია გაეწყებულად მიიჩნევა.

- დოკუმენტის ნაშთილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეესტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტომატიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგებეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)